საქართველოს მთავრობის

დადგენილება №233

2022 წლის 3 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2013, 190040000.10.003.017184) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^6 მუხლი:

„მუხლი 3^6. ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის დროებითი პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ 2022 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა არ ჩატარებულა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის მიზნით, დადგინდეს ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისგან განსხვავებული რეგულაცია და მუნიციპალიტეტის მერს მიენიჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის დროებითი პროცედურის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2023 წლის პირველ იანვრამდე პერიოდით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**